თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 2

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

20 იანვარი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. შალვა ჭანკვეტაძე, 9. გოჩა ვერულაშვილი, 10. ბიძინა ბუცხრიკიძე, 11. კახა ბუცხრიკიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. როლანდი მესხი.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28220184, 18.01.2022 წ);

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
   თანამომხს.: ა.ურიადმყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201330, 13.01.2022);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე
   თანამომხს.: ნ.სახეჩიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მოხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 2889.3 ათასი ლარით და შეადგენს 22099.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 2889.3 ათასი ლარით (გრანტი). საქართველოს მთავრობის განკარგულებებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 2889.3 ათასი ლარი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 2889.3 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა 1512,9 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელ ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 760.0 ათასი ლარით. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 475.0 ათასი ლარით. ქ.თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 277.9 ათასი ლარით.

წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა 760.0 ათასი ლარით, სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობაზე.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია გაიზარდა 616.4 ათასი ლარით, სოფელ ზედა საზანოს საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოებზე.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28220184, 18.01.2022 წ).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201330, 13.01.2022).

3.

მოისმინეს: მოხსენებელმა, საკარებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი .

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2022 წლის 20 იანვრის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი